UNKNOWN IMAGES OF THE NOBLE FAMILY OF VARDANISDZE IN THE 14TH CENTURY MURALS OF JUMATI ARCHANGELS MONASTERY

ვარდანისძეთა წარჩინებული გვარის უცნობი გამოსახულებები ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტრის XIV საუკუნის მოხატულობაში

Nino Chikhladze
Doctor of Art History. Senior Research Fellow at the University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Sudies. Tbilisi. Georgia.
ORCID: 0000-0002-3133-7330
(995)599 51 10 27; nchikhladze15@gmail.com

Abstract

The present paper discusses the issues of establishing the Vardanisdze family, a powerful feudal family of medieval Georgia, in Guria and therefore obtaining the status of Gurieli in the light of the portraits identified in the wall paintings of the Jumati Monastery. Representatives of this strong feudal family were Eristavs (princes) of the Svaneti principality from the 10th-11th centuries to the beginning of the 14th century. According to Vakhushti Batonishvili's information the Vardanisdze family was deprived of the Svaneti principality and Guria was given to rule in 1361, However, historians have a well-founded opinion regarding the transfer of the date to the first half of the 14th century. Based on the artistic style analysis, the Jumati Archangels Monastery wall painting in Guria reveals the artistic peculiarities of the same period. In this mural decoration the memorial portrait of the proud ancestor of Vardanisdze family Vardanisdze Vardan "Didi" (the Great) was identified during the expedition of the University of Georgia Tamaz Beradze Institute of Georgian Studies in 2022.

In the first half of the 14th century, the initiator of the depiction of the ancestor's portrait obviously was, Eristavi (prince) of Guria from the Vardanisdze family, who would probably be depicted on the north wall of the church near the sanctuary. Unfortunately, the wall decoration was destroyed by the church's later wall painting and architectural remodeling. However, in the western part of the northern wall, on the layer of painting of the first half of the 14th century, the image of a strange couple of a monk and a nun has been preserved. The Composition, in which the couple is blessed by the Savior, represents the privilege of the first persons of the royal family or local rulers. Therefore, according to the fragment of the woman's inscription, the monk, and the nun, who are former spouses, may have been Gurielis (rulers of Guria principality), and the initiator of their depiction together would probably be their own son. The son, who commissioned Jumati wall painting is probably Beshken Gurieli. He and his son, Mikeli is mentioned in the later inscription of the11th century famous St. George icon of Jumati. Father, who is depicted as a monk, may be Eristavt Eristavi of Svaneti, Msakhurtukhutsesi

Suimon Gurieli, whose portrait was involved in the 14th century mural painting of Zarzma Church. Most likely, he must be the first Vardanisdze, who received status of Gurieli after the loss of the Svaneti principality. This should have happened be- tween the end of the 13th century and the beginning of the 14th century.

In 2016, in the Erketi Monastery of Archangels, located in Guria, 12th-13th century fragmentary inscription of an old chancel-barrier slab was found. In it, the name of Eristavt Eristavi of Svaneti Mikeli was read, who is probably the donor of the monastery and therefore the governor of Guria. Thus, it is conceivable that Mikeli should be the secular name of above mentioned Eristavt Eristavi of Svaneti, Msakhurtukhutsesi Suimon Gurieli. This opinion is indirectly supported by the fact that his possible grandson was also named Mikeli. Thus, it turns out that the first Gurielis of the Vardanisdze family who moved from Svaneti to Guria at the end of 13th century and the first half of the 14th century can be named in the following order: Mikel formerly Suimoni, Beshkeni, Mikeli.

Key words: Jumati Archangels Monastery, Medieval Georgian wall paintings, portraits of historical persons, Vardanisdze-Gurieli.

ნინო ჩიხლაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. საქართველოს უნივერსიტეტის
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.
თბილისი, საქართველო.
ORCID: 0000-0002-3133-7330
(995)599 51 10 27; nchikhladze15@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს მძლავრი ფეოდალური გვარის, ვარდანისძეების გუარიაში დამკვიდრებისა და შესაბამისად, გურიელობის მიღების საკითხები ჯუმათის მონასტრის მო ხატულობაშიიდენტიფიცირებულიპორტრეტებისშუქზე.ვარდანისძეები X-XI საუკუნეთა მიჯნიდან ვიდრე XIV საუკუნის დასაწყისამდე სვანთა ერისთავები იყვნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ვარდანისძეებს სვანთ ერისთაობა ჩამოერთვათ და გურია გადაეცათ სამართავად 1361 წელს, თუმცა თარიღის XIV საუკუნის პირველ ნახევარში გადატანასთან დაკავშირებით არსებობს ისტორიკოსთა დასაბუთებული მოსაზრება. მხატვრული სტილის ანალიზის საფუძველზე, XIV საუკუნის პირველი ნახევარით თარიღდება გურიაში, ჯუმათის მთავარანგელოზთა ეკლესიის ის მოხატულობაც, რომელშიც ვარდანისძეთა საგვარეულოს საამაყო წინაპრის, ვარდანისძე ვარდან „დიდის“ მემორიალური პორტრეტის იდენტიფიცირება მოხდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის 2022 წლის ექსპედიციის დროს.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში წინაპრის პორტრეტის გამოსახვის ინიციატორი, ცხადია, ვარდანისძეთა გვარის გურიის ერისთავი ის

გურიელი იქნებოდა, რომელსაც, ეკლესიაში, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხეველთან სიახლოვეს გამოსახავდნენ. მხატვრობა, სამწუხაროდ, ეკლესიის გვიანდელმა მოხატულობამ და არქიტექტურის გადაკეთებებმა შეიწირა, თუმცა ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში XIV საუკუნის პირველი ნახევარის მხატვრობის ფენაზევე შემორჩენილია ბერისა და მონაზვნის უცნაური წყვილის საქტიტორო გამოსახულება. კომპოზიცია, რომელშიც წყვილს მაცხოვარი აკურთხებს, სამეფო ოჯახის ან ლოკალურ მმართველთა პირველი პირების პრივილეგიას წარმოაჩენს. ამიტომ ბერი და მონაზონი, რომლებიც, ქალის წარწერის ფრაგმენტის მიხედვით, ყოფილი მეუღლეები არიან, შესაძლოა გურიელები იყვნენ, ხოლო მათი ერთად გამოსახვის ინიციტორი ალბათ მათივე შვილი იქნებოდა. ჯუმათის მოხატულობის დამკვეთი შვილი, სავარაუდოდ, ბეშქენ გურიელია, რომელიც თავის ვაჟთან, მიქელთან ერთად ვარდან ვარდანისძის წარწერიანი წმ. გიორგის XI ს-ის ცნობილი ხატის მოგვიანო წარწერაშია მოხსენიებული. შემონაზვნებული მამა კი შესაძლოა იყოს ზარზმის XIV ს-ის მოხატულობაში გამოსახული ბერი თანმდევი წარწერით - ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელი. სავარაუდოდ, ის უნდა იყოს პირველი ვარდანისძე, რომელმაც სვანეთის საერისთავოს დაკარგვის შემდეგ გურიელობა მიიღო. ეს უნდა მომხდარიყო XIII ს-ის მიწურულისა და XIV ს-ის დასაწყისს პერიოდში.

2016 წელს გურიაში მდებარე ერკეთის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიაში აღმოჩნდა ძველი კანკელის ფილის ფრაგმენტირებული წარწერა, რომელიც XII-XIII სს-ით დაათარიღეს. მასში ამოიკითხეს სუანთ ერისთავთ ერისთავი მიქელის სახელი, რომელიც სავარაუდოდ, მონასტრის ქტიტორი და შესაბამისად, გურიის განმგებელია. ამდენად, საფიქრებელია, რომ მიქელი ბერად აღკვეცილი სუანთ ერისთავთ ერისთავისა და მსახურთუხუცესი სუიმონ გურიელის საერო სახელი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ირიბად ამყარებს ის ფაქტიც, რომ მის შესაძლო შვილიშვილსაც მიქელი ერქვა. ამდენად, გამოდის, რომ სვანეთიდან გურიაში გადმოსული ვარდანისძეთა გვარის პირველი გურიელები XIII ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში შეიძლება დავასახელოთ შემდეგი თანმიმდევრობით: მიქელ ყოფილი სუიმონი, ბეშქენი, მიქელი.

საკვანძო სიტყვები: ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტერი, შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, XIV ს-ის ისტორიულ პირთა პორტრეტები, ვარდანისძე-გურიელი.

შესავალი

შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში გამოსახული ისტორიულ პირთა პორტრეტები უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყაროებია, რომლებიც ხშირად უნიკალურ, მანამდე უცნობ ცნობებს გვაწვდის მოცემულ ეპოქაზე. ყოველი ამოკითხული სახელი, წარსულ პიროვნებათა დაზუსტებული იდენტიფიკაცია ისტორიულ მოვლენათა გადააზრების საშუალებასაც იძლევა. ეპოქის კულტურული კონტექსტის წაკითხვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქტიტორთა დაკვეთით

შესრულებული მოხატულობის თეოლოგიური პროგრამის, იკონოგრაფიულ გამოსახულებათა არჩევანისა თუ მხატვრული სტილის საშუალებით მი- ღებულ კომპლექსურ სურათში საგვარეულოთა წარმომადგენლების თვითაღქმის განსაზღვრა, პოლიტიკური და იდეოლოგიური აქცენტების გამოკვეთა.

გურიელთა საგვარეულოს ისტორიისა და მათი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების ხშირად არც მხოლოდ ლოკალური კულტურულ-პო- ლიტიკური მიზანდასახულების წარმომჩენ საკვანძო ძეგლად გამოიკვეთა ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტრის მხატვრობა. მასში დაცული ისტორიულ პირთა გამოსახულებების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2022 წლის ოქტომბერში, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო ექსპედიციის დროს, XIV საუკუნის მხატვრობის ფენაში ჩარ- თული, გურიელებად წოდებული გურიის ერისთავთა წინაპრის, XI ს-ში მოღვაწე სვანეთის ერისთავთ ერისთავი ვარდანისძე ვარდან „დიდის“ მემორიალური პორტრეტის იდენტიფიცირებას. საგვარეულოს „მამა- მთავრის“ გამოსახულების დაკვეთა შეიძლება ყოფილიყო გურიაში დამ- კვიდრებული ვარდანისძეების გვარის პირველი თაობის გურიელების ოჯახის ინიციატივა, რაც ჯუმათს, ერთი მხრივ, ვარდანისძეთა საგვარეულო ეკლესიად წარმოადგენს, მეორე მხრივ, კი ნათლად ხსნის ვარდანისძეების და მათ შორის, ამ გვარის სვანეთის ერისთავთ ერისთავთა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი საგანძურის, ძვირფასი ჯვარ-ხატების ჯუმათის მონასტერში თავმოყრის მიზეზს.

მეთოდები

კვლევა ეყრდნობა ლიტერატურული და ვიზუალური წყაროების შინაარსის ანალიზსა და კრიტიკულ გააზრებას. გამოყენებულია ისტორიულ- შედარებითი მეთოდი და ასევე, იკონოგრაფია-იკონოლოგიური და მხატვ- რული სტილის შედარებითი ანალიზის მეთოდები.

შედეგები

იკონოგრაფია-იკონოლოგიური და მხატვრული სტილის ანალიზის შედეგად მკაფიოდ გამოვლინდა ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტრის ეკლესიის მოხატულობის ძირითადი ფენის ე.წ. პალეოლოგოსთა მხატვ- რული სტილის XIV ს-ის პირველი ნახევრის დამახასიათებელი ნიშნები. ამავე ფენაში ჩართული ისტორიული პირების ჩვენამდე მოღწეული გამო- სახულებებიდან სამხრეთ კედელზე წარმოდგენილი მამაკაცი, თანმდევი წარწერის წაკითხვის შედეგად, აღმოჩნდა ვარდანისძე ვარდან „დიდი“, რომელიც არ არის მოხატვის თანადროული პირის, არამედ ვარდანისძეთა წარჩინებული გვარის საამაყო წინაპრის, სვანეთის ერისთავთ ერისთავის მემორიალური პორტრეტი. ისტორიულ წყაროთა კრიტიკული მიმოხილვის შედეგად, დგინდება, რომ მოხატულობის მთავარი დამკვეთი შესაძლოა, ვარდანისძეთა გვარის წარმომადგენელი ბეშქენ გურიელი იყო, რომლის სავარაუდო დედ-მამის, ბერისა და მონაზვნის უცნაური საქტიტორო კომ- პოზიცია ჩრდილოეთ კედელზეა შემორჩენილი.

ლიტერატურული და ვიზუალური წყაროების შეჯერების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ეს შემონაზვნებული ხანშიშესული მამაკაცი უნდა ყოფილიყო ის პირველი გურიელი, რომელმაც დაკარგა სვანეთის ერისთავთ ერისთავობა, მაგრამ სამაგიეროდ, გურიის მართვის უფლება მოიპოვა. ზარზმის ფერისცვალების ეკლესიის XIV საუკუნის მოხატულობის ფენაში ჩართული მსგავი გამოსახულება, რომელსაც თანმდევი წარწერა ასახელებს, როგორც სვანეთის ერისთავთ ერისთავს, მსახურთუხუცესს სუიმონ გურიელს, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჯუმათის საქტიტორო გამოსახულება იგივე პირს წარმოადგენს. ამავე დროს, სუიმონ გურიელის საერო სახელი შესაძლოა იყო მიქელი, რისი დაშვების საფუძველსაც იძლევა გურიაშივე, ერკეთის მთავარანგელოზთა მონასტერში 2016 წელს აღმოჩენილი ძველი კანკელის ფილაზე ამოკითხული ფრაგმენტული წარწერა. XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ წარწერაში მოხსენიებული სვანთ ერისთავთ ერისთავი მიქელი უნდა იყოს ის პირველი ვარდანისძე-გურიელი, რომელიც მოგვიანებით, შემონაზვნების შემდეგ სუიმონის სახელით იხსენიება.

მსჯელობა

ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტერი (სურ.1), რომელიც გურიაში, ოზურგეთიდან 14-ოდე კმ-ის დაშორებით, ჩოხატაურის ქედის ერთ-ერთი მწვერვალის ვიწრო თხემზეა აღმართული და არის „დიდშენი, მჭურეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 790), გურიის სამთავროში შემავალი სამი საეპისკოპოსოდან ერთ-ერთია, რომელშიც შედიოდა ზემო გურიის მონაკვეთი რიონიდან სუფსამდე (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 790; ჩხატარაიშვილი, 1990: 146). საეპისკოპოსო კათედრის ჯუმათში დაარსების თარიღად XV საუკუნეს მიიჩნევენ (ქართველიშვილი, 2006: 18-22), თუმცა თავად ეკლესია, სავა რაუდოდ, XIV ს-ის II ნახევრამდეა აგებული (ჩხატარაიშვილი, 1959: 618). მოხატულობის ადრეული ფენის ფრაგმენტები კი იმას მიანიშნებს, რომ ეკლესია XIV ს-მდე უნდა აეგოთ.

სურ. 1
ჯუმათის მთავარანგელოზთა მონასტრის ეკლესია

მონასტერი გარშემორტყმულია ქვის დაბალი გალავნით, რომელშიც სამხრეთიდან კედელში ჩაშენებული ორსართულიანი ქვის სამრეკლოს ქვ ედა,სწორკუთხასართულშიმონასტრისეზოშიშესასვლელიაგამართული. XX საუკუნის 20-იან წლებში, გასაბჭოების შემდეგ სამხედროთა ნაღმებით დანგრეული სამრეკლოს ზედა სართული გუმბათის ყელის მსგავსად, წრიული ფორმისა იყო და მასში 6 სარკმელი იყო დატანილი (ბაქრაძე, 1987: 215; თავბერიძე, 2005: 31-32). ამ ძველი, მხატვრული სტილის მიხედვით,

სავარაუდოდ, XV-XVII საუკუნეების სამრეკლოსგან (ქართველიშვილი, 2006: 75-76) განსხვავებით, ახალი უშუალოდ ებჯინება მთავარანგელოზთა ეკლესიის დასავლეთ კედელს. სამრეკლოს მიშენებამდე მას დასავლეთიდან გააჩნდა კარიბჭე (ბაქრაძე 1987: 216), რომლის ორსაფეხურიანი ხარისხია დარჩენილი. ეკლესიაში შესასვლელი კარიც უფრო მაღალი და თაღოვანი ყოფილა, რომელიც ამოუშენებიათ და უფრო მცირე ზომის ოთკუთხა მოჩარჩოების კარით შეუცვლიათ მას შემდეგ, რაც დასავლეთ კედელს ოდნავ ჩრდილოეთით გაწეული, ოთკუთხა სვეტებსა და პილასტრებზე დაბჯენილი ღია სამრეკლო-კარიბჭე მიაშენეს. 1904 წლის მხედრული წარწერის მიხედვით, კარიბჭისა თუ სამრეკლოს დამკვეთია არქიმანდრიტი გერასიმე დარჩია, ხოლო შემსრულებელი ივანე მენაბდე (ლომთათიძე, 2001: 204).

დარბაზულ ეკლესიას სამხრეთი ფასადის მთელს სიგრძეზე გასდევდა სავარაუდოდ, ტაძრის თანადროული მაღალი მინაშენი, რომლის საბჯენი თაღების ნაწილები კარგად ჩანს ეკლესიის სადღეისოდ არსებულ, „ხარების“ სახელობის გვიანდელ მინაშენში. კანკელით გადატიხრულ აღმოსავლეთ ნაწილში ტაძრის ძირითადი, XIV საუკუნეზე ადრეული მოხატულობის ფრაგმენტები წმ. მეომართა თემატიკას ეხმიანება. რეგისტრის ხაზით გამოყოფილი ორი კომპოზიციიდან დასავლეთისა აშკარად წმ. მიქაელ მთავარანგელოზს უკავშირდება და შესაძლოა იყოს „ისო ნავე წმ. მიქაელ მთავარანგელოზის წინაშე“, აღმოსავლეთით კი ორი წმ. მეომრის გამოსახულებათა ნაწილებია.

ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადის აღმოსავლეთითაც ჩანს მინაშენის (ეკვდრის?) კვალი, რომელიც გეგმის დონეზე დარჩენილ უაფსიდო, სწორკუთხა ნაშთს წარმოადგენს. 1846 წელს ჯუმათის ეკლესია არა მხოლოდ მოაპირკეთეს რუხი ფილებით, არამედ საფუძვლიანად გადააკეთეს კიდეც (ბაქრაძე, 1987: 216). ამავე ჩრდილოეთ ფასადზე გაჭრეს კარი, რომელსაც ფასადის მხრიდან პროფილირებული, XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი, შემკულობის მოჩარჩოება გააჩნია და ის მიწის დონიდან დაახლოებით 1,5 მ-ზე იკითხება. გადაკეთებულია სარკმლის ფორმებიც. ჩრდილოეთ ფასადის ორსა და საკურთხევლის სამ სარკმელს ოთკუთხა მოჩარჩოება აქვს. საკურთხევლის სარკმლებს თავზე არქაულს მიმსგავსებული დეკორატიული მოტივი, „წარბის“ ფორმის გადაბმული ვიწრო ლილვი დაუყვება. ამავე პერიოდისაა დარბაზული სივრცის გადახურვაცა და ძლიერ გაფართოებული საკურთხეველიც, რომელსაც ფასადის მხრიდანაც ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს. სავარაუდოდ, ამავე ან უფრო გვიანი პერიოდისაა სამხრეთის დაბალი მინაშენი, რომელიც სწორკუთხა საკურთხევლითა და უფრო მდარე სამშენებლო ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე თუნდაც XIX საუკუნის ზემოჩამოთვლილი გადაკეთებები. ამდენად, ტაძრის აგების თანადროულად მხოლოდ ცენტრალური ნავის სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები შეიძლება მივიჩნიოთ, რასაც მათზე შემორჩენილი მხატვრობაც ადასტურებს.

ჯუმათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში არა მხოლოდ გან-

საკუთრებული პატივით სარგებლობდა გურიის მხარის განმკარგავ გურიელთა შორის, არამედ, მხატვრული პროგრამის წაკითხვის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საგვარეულო ეკლესიის ფუნქციასაც ასრულებდა. ამასვე ადასტურებს XX საუკუნის 20-იან წლებამდე მასში დაცული მხატვრული ღისრებითა და ეპიგრაფიკული მასალით მდიდარი ჯვარ-ხატები, რომლებიც არა მხოლოდ გურიელებს, არამედ მათ შორეულ წინაპრებს, სვანეთის ერისთავ ვარდანისძეებსაც მოიხსენიებდა (ბაქრაძე, 1987: 218-225). მათ შორის, ყველაზე ადრეული, მხატვრული სტილის ნიშნებით, XI ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული, გამორჩეული სიდიდისა და მაღალმხატვრული ღირებულების იყო მოციქულთა და წმ. მამათა ჭედური მედალიონებით შემკული, წმ. გიორგის ჭედური ხატი (80X55 სმ), რომლის ცენტრალურ არეს ერისთავთერისთავი ვარდან ვარდანისძის წარწერა ამშვენებდა, ხოლო ქვედა არშიაზე, უფრო მოგვიანო ხანის, სავარაუდოდ, XIV საუკუნის ხატის გამაახლებელთა - ბეშქენ გურიელისა და მისი ვაჟი მიქელის ჭედური წარწერა იკითხებოდა (ბაქრაძე, 1987: 218-219; Кондаков, Бакрадзе, 1890: 107-108, ილ. 51; Чубинашвили, 1959: 245-256). ხატი, მონასტრის სხვა სიწმინდეებთან ერთად, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო (Кондаков, Бакрадзе, 1890: 102-110), ბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენელთა მიერ 1921 წელს ჯუმათის მონასტერში ჩატარებული ინვენტარისაღწერის შემდეგ,სულმალე, იმავეწლისსექტემბერშიმონასტრის გაძარცვის დროს გაიტაცეს. მისი ორი მცირე ფრაგმენტი, რომელიც კერძო კოლექციონერმა თბილისის ბაზარში შეიძინა, ლენინგრადის (დღევანდელი პეტერბურგის) ერმიტაჟში მოხვდა (Чубинашвили, 1959: 245). მანამდე კი, XIX საუკუნის ბოლოს, ეგზარქოსისა და დიდი გავლენის მქონე სინოდის ობერპროკურორის მფარველობით ჩატარებული გახმაურებული „ძარცვის“ დროს დაიღუპა დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღწერილი წმ. მთავარანგელოზ მიქაელისა და მთავარანგელოზ გაბრიელის ტიხრული მინანქრის გამორჩეული ღირებულების მედალიონებით შემკული ორი ჭედური ხატი. სათანადო დოკუმენტებითა და მიმართვებით „შეიარაღებულმა“ შემსრულებელმა, პეტერბურგელმა თუ ტფილისელმა ფოტოგრაფმა თუ მხატვარმა, ვინმე ს. საბინ-გუსმა, რესტავრაციის დაპირებით, ხატები 80-იანი წლების დასაწყისში ჯუმათიდანაც ისევე გაიტანა, როგორც საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებიდან და ამ საქმის რეზონანსულობისა (იმპერატორი ალექსანდრე III-ც კი ყოფილა ინფორმირებული), თუ ქართველი სამღვდელოების მრავალწლიანი მოთხოვნის მიუხედავად, ცხადია, არც არავინ დასჯილა და არც არაფერი დაბრუნებულა (Maculevic, 1926: 77-78; Амиранашвили, 1963: 257, შენ. 1; Хускивадзе, 1981: 107-108; თავბერიძე 2005: 33-67). ნაძარცვი სიწმინდეები, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში განაწილდა. შემდგომ უკვე კოლექციონერ ა. ზვენიგოროცკისგან დიდძალი თანხის საფასურად ჯ. პირპონტ მორგანის მიერ შეძენილი გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის 13-დან 9 მიმანქრის მედალიონი მოხვდა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში (ცხრავე ძირითად ექსპოზიციაშია ჩართული და მითითებულია

მათი საქართველოდან, კერძოდ კი ჯუმათის მონასტრიდან მომდინარეობა), ერთი კი პარიზის ლუვრში (მოგვიანებით გადაეცა კლუნის მუზეუმს), როგორც ბიზანტიური მინანქრები (Хускивадзе, 1981: 108-109; თავბერიძე, 2005: 88-101).

1923 წელს ახალგაზრდა მეცნიერის შალვა ამირანაშვილის გონივრული და გამბედავი ქმედების წყალობით, მოხერხდა გასაბჭოებული რუსეთიდან მეფის ხელისუფლების მიერ მიტაცებული ერის კულტურის განძის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება, რომელთა შორის ჯუმათის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხატის 3 ტიხრული მედალიონიც იყო (ამირანაშვილი, 1968: 3-6; ხუსკივაძე, 1984: 94-96, ტაბ. 134-136). ორივე დაკარგული ხატის მედალიონები ქართული ხელობის XII ს-ის ნიმუშებადაა მიჩნეული (Хускивадзе,1981: 108-120), ხოლო ჭედური პერანგები, რომელთა ნაწილები მკვლევარმა ლ. მაცულევიჩმა კერძო კოლექციებში მოიძია, დათარიღებულია XIV-XV საუკუნეებით (Maculevic, 1926: 103-104; Хускивадзе, 1981: 108-109), რაც ვფიქრობთ, იმასაც მიანიშნებს, რომ ხდებოდა გურიელების მიერ მათი პერიოდული განახლება-რესტავრირება სხვადასხვა ეპოქაში. როგორც ამ ორი ხატის, ისე ჯუმათის მონასტრის სხვა დანარჩენი სიწმინდეების საქტიტორო წარწერები სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ პირებს ასახელებს (ბაქრაძე, 1987: 218-225) და მათ შორის, იმათაც, ვისი საქტიტორო გამოსახულებებიც ვფიქრობთ, ჯუმათის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობას ამშვენებდა.

ცენტრალური ნავის ფრაგმენტულად შემორჩენილი ძირითადი მოხატულობა სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების ნაწილებს შემორჩა. დარბაზის ხალვათი სივრცე სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ყრუ თაღოვანი ნიშებითა და მაღალ პილასტრებზე გადასროლილი თაღებით არათანაბრად განაწილებულ სეგმენტებად იყოფა. სარკმლებითა და არქიტექტურული პროფილებით დანაწევრებულ კედლებზე, ძირითადად, ცალკე მდგომი ფიგურებია გამოსახული, ხოლო სცენები და მათ შორის, პირველ რიგში, „ათორმეტი“ დღესასწაული, სავარაუდოდ, კამარის ქანობებზე იქნებოდა გაშლილი. სადღეისოდ შემორჩენილი, ვნების ციკლით გაფართოებული საუფლო დღესასწაულთა სცენების ნაწილი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების დასავლეთ მონაკვეთებსა და დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრებზეა მოცემული. სამხრეთით, კამარის ქანობის დასავლეთ კიდეში „ლაზარეს აღდგინებიდან“ მართას ან მარიამის მუხლმოყრილი ფიგურის ფრაგმენტი ჩანს. სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრში, ვიწრო თაღოვან სიბრტყეზე „ჯვრისა ქვეშე მიყენების“, ანუ მაცხოვრის ჯვართან მიყვანის სცენის უმნიშვნელო ფრაგმენტებიღა იკითხება. კლდოვან ბაქნებად „დატეხილი“ მთების ფონზე გაირჩევა ჯვარზე ასული ჯალათის ჯვრის მკლავს შემოხვეული და ქვევით დახრილი სხეულის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სცენა ბეთანიის XII ს-ის შუაწლებით დათარიღებულ მაცხოვრის ვნების ციკლშიცაა ჩართული, ჯუმათში შემორჩენილი, ჯვრის მკლავს შემოხვეული ჯალათის გამოსახულება იქ არ არის ისევე, როგორც საბერძნეთის XIII საუკუნის ბიზანტიურ მოხატულობებში (Chatzidakis, 1986: 51). ეს დეტალი იტალიასა

და ბალკანეთის ქვეყნების მოხატულობებში XIII-XIV საუკუნეებიდან ჩნდება (Schiller, 1972: 83). მის მომდევნოდ, უფრო ფართო თაღოვან სიბრტყეზე „ჯვარცმის“ სცენათა ნაწილები, დასავლეთ კედელზე - „გარდამოხსნისა“ და „დატირების“ მრავალფიგურიანი, ემოციური დეტალებით დატვირთული სცენები, ხოლო ჩრდილოეთით - „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ კომპოზიციის ფრაგმენტი ჩანს. ფრაგმენტულად იკითხება დასავლეთი კედლის მეორე რეგისტრზე „ღმრთისმშობლის მიძინების“ გავრცობილი სცენაც (სურ. 2), რომლის ორსავ მხარეს, თუმც გამყოფი ხაზით განცალკევებული, მაგრამ არსობრივად მასთან დაკავშირებული, იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით ამოცნობილი იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის (Konstantinidi, 2018: 87), მთელი სხეულით წარმოდგენილი, გ ა შ ლ ი ლ გ რ ა გ ნ ი ლ ე ბ ი ა ნ ი ფიგურები ლიტურგიკული შინაარსით ავსებენ სცენას (Этингоф, 2000: 213-217). ჯუმათის კედლის მხატვრობის ეს ფენა, რომლის იკონოგრაფიული პროგრამა წარმოადგენს მაცხოვრის ვნების ციკლის სცენებით გაფართოებულ დიდ საუფლო დღესასწაულებს, თხრობითი დეტალებით დატვირთული კომპოზიციებით, ფიგურათა ძლიერი ემოციების გამომხატველი ჟესტიკულაციებით, მოცულობითი სხეულებითა და სახეთა წერის მანერის ფერწერული მხატვრული საშუალებებით, განვითარებული პალეოლოგოსური მხატვრული სტილის მკაფიოდ გამოკვეთილ ნიშნებს ამჟღავნებს და XIV საუკუნის პირველი ნახევრის თეოლოგიური განსწავლულებით გამორჩეულ, მაღალმხატვრულ დეკორზე მიანიშნებს. მეტიც, ფიგურათა დაგრძელებულ, ე.წ. „კლასიკურთან“ მიახლოებულ, ელეგანტურ პროპორციებში, თავისუფალი მონასმებით გამოყვანილი სხეულის მოცულობით ფორმებში, ფერადოვანი ფენებით „ნაძერწ“ სახის წერის მანერაში პალეოლოგოსთა მხატვრული სტილის განვითერების ყველაზე რევოლუციურ ფაზად წოდებული, XIII ს-ის მიწურულისა და XIV ს-ის პირველი ოცწლეულის ე.წ. „ოქროს ხანის“, პალეოლოგოსთა რენესანსის (Mouriki, 1975: 65, 70; Джурич, 2000: 54) ზოგადი ნიშნები გამჟღავნდა. მართალია, ფრაგმენტული და დაზიანებული მხატვრობა არ იძლევა სრული სურათის აღდგენის საშუალებას, მაგრამ ცალკეული ტენდენციები მაინც თვალნათლივია. ფიგურათა სხეულების აგებისას მხატვარი დაგრძელებულ პროპორციებს ირჩევს, თუმცა არსად გვხვდება XIV ს-ის პირველი ოცწლეულისთვის დამახასიათებელი გადაჭარბებულად „გაბერილი“ ფორმები. პირიქით, მკვეთრი და ტეხილი ხაზებისგან თავისუფალი, დრაპირების დენადი ნახატი „კონსტანტინეპოლურ“ ეტალონთან მიახლოებულ ელეგანტურ ფიგურებს

სურ. 2
ჯუმათი. „მიძინება“ (ფრაგმენტი)
და წმ. იოანე დამასკელი

გადმოსცემს. თვალშისაცემია კომპაქტური, ნარატიული ეპიზოდებისა და დეტალიზაციისგან დაცლილი, ერთგვარი მონუმენტურობის შეგრძნების გადმომცემი კომპოზიციები. მსგავსი მხატვრული გააზრება განსხვავებულია სივრცობრიობის მიმანიშნებელი არქიტექტურული კულისებითა და პეიზაჟური ელემენტებით დატვირთული პალეოლოგოსთა განვითარებული სტილის მხატვრული მიდგომისაგან (Mouriki, 1975: 70). ჯუმათის სცენებში ფონები, ცხადია, ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია, იქნება ეს ბაქნებად დატეხილი, კლდოვანი მთები, თუ კუბის ფორმის არქიტექტურული დეტალები. გადარეცხილი ფერწერული ზედაპირების ქვეშ აქა-იქ ხუროთმოძღვრული ფორმების ასაგებად გამოყენებული ხაზობრივი გეომეტრიის სქემებიც კი მოჩანს, თუმცა თავად მწირად წარმოდგენილი არქიტექტურული თუ პეიზაჟური ფონები სივრცობრივი ეფექტის ხაზგასმაზე მეტად, ერთგვარ ჩამკეთ კედლად, სიბრტყობრივ ფონად აღიქმევა ახლო ხედით მოტანილი, კომპაქტურად შეკრული კომპოზიციებისთვის, რაც კლასიკური პერიოდის ტრადიციული ქართული მოხატულობების მხატვრულ მიდგომასაც მოგვაგონებს.

იმავდროულად, ჯუმათის დეკორში ამგვარი მიდგომის გამოყენება ხელს უწყობს XIV ს-ის მეორე მეოთხედის მოხატულობებში გაჩენილი ემოციათა დრამატიზაციისკენ მიმართული ტენდეციების (Mouriki, 1975: 71) წინ წამოწევასა და გამოკვეთას დინამიკური მოძრაობებით („ჯვარცმაში“ ლონგინოზ ასისთავი), ჟესტებით (მტირალი დედები “გარდამოხსნასა“ და „დატირება-საფლავად დადებაში“) თუ სახეებზე აღბეჭდილი მიმიკებით (იოანე ღმრთისმეტყველი „ჯვარცმაში“, პეტრე მოციქული „მიძინებაში“). მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც ამ შემთხვევაში ჩანს XIV ს-ის მეორე მეოთხედიდან გაზრდილი გადაჭარბების, ეგზალტაციისა თუ ფიგურათა დეფორმაციისკენ მიმართული იმგვარად მზარდი ტენდენცია, რომელსაც ე.წ. სიმახინჯის კულტიც კი უწოდეს (Mouriki, 1975, 65). ჯუმათის ოსტატის მხატვრული შესრულების ხერხები და საშუალებები ზომიერი და თავშეკავებულია, თუმცა რაც შეეხება სცენათა იკონოგრაფიას, ის მოცემული პერიოდისთვის ტრადიციული სქემებიდან უფრო იმ იშვიათ ვერსიებს ირჩევს, რომლებიც XIV ს-ის მეორე მეოთხედის პალეოლოგოსთა სტილის განვითარებისთვის დამახასითებლად, ემოციათა დრამატიზაციის მუხტს აძლიერებს. ამდენად, ჯუმათის მხატვარი, რომელიც პალეოლოგოსთა მხატვრული სტილის განვითარების ადრეული ეტაპის თესალონიკე-ათონის მთისა თუ მისტრა-კანსტანტინეპოლის ძეგლებში ჩამოყალიბებული ზოგადი მხატვრული მიდგომების ერთგულია და XIV ს-ის მეორე მეოთხედის ძეგლებისთვის დამახასიათებელი, ემოციათა დრამატიზაციისკენ მიმართული კომპოზიციური თუ ფერწერული ამოცანების გადაწყვეტასაც ახორციელებს, როგორც ჩანს, გარკვეულად ლოკალური მხატვრული ტრადიციების მატარებელიცაა.

ამავე მხატვრულ ფენას მიეკუთვნება სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში როგორც წმ. მოწამეების, ისე პირველ რეგისტრზე გამოსახული წმ. მეომრების, იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წმ. გიორგის, წმ. თევდორე სტრატილატისა და წმ. დიმიტრის ცალკე მდგომი ფიგურები.

მათსავე რიგში არიან ჩართული ისტორიული პირები, რომელთა გამოსახულებების სავალალო ნაშთებს ვხედავთ როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში.

მთავარანგელოზთა ეკლესიის ცენტრალური სივრცის სამხრეთ კედელზე, შესასვლელი კარის აღმოსავლეთით, საკურთხევლის სიახლოვეს, განცალკევებით გამოისახა ნაწილობრივ შემორჩენილი ისტორიული პირის პორტრეტი (სურ.3). ღია მოყვითალო-თეთრ ფონზე წარმოდგენილი მამაკაცის გამოსახულება მოჩარჩოების მოყავისფრო-წითელი ზოლით მკერდთანაა „გადაჭრილი“ და სხეულის დანარჩენ ნაწილებს გვიანი შუა საუკუნეების წმ. მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულება ფარავს. ხანშიშესული ქტიტორის სახე თუმცა ფრონტალურია, მხრების განლაგების მიხედვით (მარცხენა მხარი, თითქოს ოდნავ უფრო ვიწროა) მისი სხეული აღმოსავლეთისკენ უნდა ყოფილიყო მიბრუნებული და მკლავებიც საკურთხევლისკენ ექნებოდა ვედრებად მიმართული. მამაკაცის მაღალი, ზედა ნაწილში გადაშლილი, ტრაპეციის ფორმის, თეთრი ქუდი, რომელიც ებჯინება რეგისტრის გამყოფ მუქ წითელ ზოლს, იმეორებს XIII ს-ის მიწურულით დათარიღებული აჭის ქტიტორთა თავსაბურავებს (Иосебидзе, 1989: 49-50; ჩიხლაძე, დათუნაშვილი, გველესიანი, 2017: 197, ტაბ. 286) და როგორც ჩანს, ლიხაურის ეკლესიის საერო პირთა, დღეს უკვე გამქრალი იმ ოთხი პორტრეტისას, რომელთა სამოსიცა და თავსაბურავიც დიმიტრი ბაქრაძეს აჭის ქტიტორებს აგონებდა (ბაქრაძე, 1987: 99). ქტიტორის სახე იწერება მუქი მოყვითალო ოქრას სარჩულზე, რომელსაც ფართოდ ედება მოწითალო ლაქები. თეთრას თხელი მონასმები თავშეკავებულად გამოიყენება შუბლზე, ყვრიმალებთან, ჭაღარა ულვაშებისა და თმაწვერის გადმოსაცემად და არა დამოუკიდებელი ათინათების სახით. სახის შემომწერი კონტური შავი, ნაკვთებისა კი მოყავისფრო-წითელი ფართო მონასმებია. ამავე ფერისაა ულვაშებში შემალული მსხვილი, ხორცსავსე ბაგეები. მონასმებით გამოყვანილი ნაკვთების ფორმები ისევე, როგორც თეთრას ათინათებით გაცოცხლებული მზერა, განვითარებული პერიოდის პალეოლოგოსთა სტილის მხატვრობის სახის წერის მანერას გადმოსცემს, რაც პირდაპირ აკავშირებს მას მხატვრობის ძირითად, XIV საუკუნის მეორე მეოთხედის მოხატულობასთან. ქტიტორის თავთან (სურ.4), ორივე მხარეს თეთრ ფონზე შავი ფერით დატანილი დაზიანებული ასომთავრული თანმდევი წარწერა სამ სტრიქონად იკითხება (მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ წაიკითხა და სქემები შეასრულა ბ-მა გიორგი გაგოშიძემ):

სურ. 3
ჯუმათი. ვარდანისძე ვარდან „დიდის“ მემორიალური პორტრეტი



სურ. 4
ჯუმათი. ვარდანისძე ვარდან „დიდი“. სქემა შესრულებულია გ. გაგოშიძის მიერ

...ᲐᲮᲬᲠᲗ ᲘᲫᲗ(?) ᲡᲫ...ᲜᲐᲮᲗ
ᲮᲘᲮ
[ვა]რდან | [ი]სძ[ე] ვ(ა)რდ(ა)ნ | დიდ[ი]...|ღმნ(?)

XIV საუკუნის გურიის განმკარგავ ისტორიულ პირთა შორის ვარდან ვარდანისძე ცნობილი არ არის, თუმცა გურიელების ვარდანისძეებისგან წარმომავლობას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973, 37), XIX საუკუნის მკვლევრებისთვის კი ცხადი იყო, რომ გურიელთა წინაპრები სვანეთის ერისთავთერისთავი ვარდანისძეების საგვარეულოს წარმოადგენდნენ (ბაქრაძე, 1987: 101, 225). ეს ცხადადაა დადასტურებული გურიის ეკლესია-მონასტრების XI-XIII საუკუნეების ჯვარ-ხატების ეპიგრაფიკით, რომლებიც არა ერთ ვარდანისძეს მოიხსენიებს (მარუშიანს ლიხაურის წმ. იაკობის ხატზე (ბაქრაძე, 1987: 99), ლიპარიტს ჯუმათის მთავარანგელოზთა მინანქრის ხატზე (Кондаков, Бакрадзе 1890: 104-106, სურ. 50) სვანეთის ერისთავს, მანდატურთუხუცესსა და მსახურთუხუცესს, ივანეს ჯუმათის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე (ბაქრაძე, 1987: 220). ყველაზე ადრეული პერიოდის კი ჯუმათის წმ. გიორგის XI საუკუნის ჭედური ხატის წარწერაში დასახელებული ერისთავთერისთავი ვარდან ვარდანისძეა, რომელიც ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი, გიორგი II-ის (1072-1089) თანამედროვე „სვანთა ერისთავი ვარდანი“ (მესხია, 1979: 123; ბახტაძე, 2003: 217). სწორია თუ არა იდენტიფიცირება და არის ის დანამდვილებით XI ს-ის II ნახევრის თუ XI ს-ის I ნახევრის მოღვაწე (მაგალითად, გიორგი ჩუბინაშვილი ჯუმათის წმ. გიორგის ხატს XI ს-ის 30-იანი წლებით ათარიღებს (Чубинашвили, 1959: 262), ჯუმათის მთავარანგელოზთა ეკლესიაში გამოსახული ვარდანისძე ვარდან დიდი, ვფიქრობთ, სწორედ წმ. გიორგის ხატზე მოხსენიებული ერისთავთერისთავის მემორიალური გამოსახულება უნდა იყოს, რომელიც ტაძრის მომხატველმა ვარდანისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელმა გურიელმა ან გურიელებმა დაახატვინეს.

ქართულ კედლის მხატვრობაში მემორიალური პორტრეტების, მაგალითად, ბედიის XIV საუკუნის მოხატულობაში ბაგრატ III-ის, გელათის მთავარი ტაძრის XVI ს-ის ფენაზე დავით აღმაშენებლისა თუ ხობის ტაძრის ცენტრალური სივრცის XVII ს-ის დეკორში მანდატურთუხუცესი გიორგი I დადიანის (XIII ს-ის 90-იანი -1323 წლები), გამოსახვის ტრადიცია დაკავშირებულია მოცემული ეკლესია-მონასტრის მიმართ ამ პირთა მიერ გაწეულ ღვაწლთან, იქნება ეს დაარსება, აგება, მოხატვა-გამშვენება თუ ყველა ერთად. თუმცა ისეთი შემთხვევაც გვაქვს, როცა გვიან აღზევებულ საგვარეულოს სურს წინაპრად გამოაცხადოს ეკლესია-მონასტრის დაარ-

სებასთან დაკავშირებული სახელოვანი საგვარეულო და ამ მიზნით გამოსახავს მემორიალურ პორტრეტს, როგორც ეს ზარზმის ეკლესიაში ხურცისძეთა XVI ს-ის მოხატულობის ფენაზე აღმოჩნდა ზარზმის აღმშენებელ ჩორჩანელთა გვარის წარმომადგენელი (ბერიძე, 1955: 132; ჯანჯალია, 2007:71; Studer-Karlen, 2021: 150). ჩვენი შემთხვევა რამდენადმე განსხვავებულია. XI საუკუნის სვანეთის ერისთავთერისთავს, ვარდან ვარდანისძეს არ მიუძღვის რაიმე წვლილი მოგვიანო ხანის ჯუმათის მონასტრის არც აშენებაში და არც მოხატვაში. მისი მემორიალური პორტრეტის გამოსახვის მიზეზი, დიდი ალბათობით, გურიის სამართავად სვანეთიდან გადმოსული პირველი თაობის ვარდანისძეების სურვილი უნდა ყოფილიყო წარედგინათ ადგილობრივი მრევლისთვის თავიანთი წარჩინებული გვარი მისი ყველაზე სახელოვანი წინაპრის პორტრეტით, რომლის დატოვებული საგვარეულო ხატიც ჩამოაბრძანეს გურიაში. თანმდევ წარწერაში შემორჩენილი ეპითეტი

„დიდიც“ მისი და შესაბამისად, ვარდანისძეების გვარის წარჩინების აღმნიშვნელიცაა. საგულისხმოა, რომ მსგავსი ეპითეტი - „დიდი და გუარიანი კაცი“ საისტორიო წყაროში სხვა ვარდანისძის, თამარის ეპოქის მოხელის მიმართაც ყოფილა გამოყენებული (ისტორია და აზმანი შარავანდედთანი, 1959: 33; მესხია, 1979: 115-127). ამდენად, ლოგიკური ჩანს სწორედ პირველი თაობის ვარდანისძე-გურიელის მხრიდან ახალ ადგილზე, უკვე გურიაში სახელოვანი წინაპრის მემორიალური პორტრეტის წარმოჩენით საგვარეულოს ამგვარი პოზიციონირება.

ვინ იყო პირველი თაობის ვარდანისძე-გურიელი, რომელმაც მოახატვინა ეკლესია და როდის უნდა მომხდარიყო ეს? ცხადია, მას შემდეგ, რაც გურიის ერისთაობა მიიღო. გურიის საერისთავო წყაროებში არ იხსენიება და ტერმინი „გურიელი“, რომელიც გურიაში მამულის მფლობელობისა და გურიის განმგებლის მნიშვნელობის მატარებლადაა მიჩნეული, მხოლოდ XIV ს-ის 40-იან წლებში ჩნდება (ქართველიშვილი, 2008: 268). არსებობს მოსაზრება, რომ გურია, როგორც ადრეფეოდალურ, ისე XI-XIII ს-ში სამეფო დომენი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ XIV ს-დან გადაეცათ სამამულედ ვარდანისძეებს, რომელთაცსაფუძველიჩაუყარესგურიელებისსაგვარეულოს (ხიდურელი, 1977: 282-283). გურიის საერისთაოს ვახუშტი ბატონიშვილი ვარდანისძეებისთვის სვანეთის ერისთაობის ჩამორთმევისა და მათი წარმომადგენლის გურიის ერისთავად დასმის ფაქტს 1361 წლით ათარიღებს და მეფე ბაგრატ V-ს უკავშირებს (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 261). თუმცა ისტორიკოს თამაზ ბერაძეს აეჭვებდა მოცემული თარიღის სისწორე და მიაჩნდა, რომ ის რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა მომხდარიყო (ბერაძე, 2018: 372-373). მკვლევარი გონელი არახამია არა მხოლოდ იზიარებს ამ მოსაზრებას, არამედ ფიქრობს, რომ ვარდანისძეთა გვარიდან გურიის პირველი ერისთავი ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე მოხსენიებული და ბაღლების მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობაში გამოსახული ბეშქენ გურიელი უნდა ყოფილიყო, რომელიც პავლე ინგოროყვას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ მანდატურთუხუცეს ბეშქენ ვარდანისძესთან ჰყავდა გაიგივებული (ინგოროყვა, 1963: 584; არახამია, 2003: 54). ბეშქენ გურიელის მანდატურთუხუცეს ბეშქენ ვარდანისძესთან

იგივეობა სხვა მკვლევრებითვისაც (ქ. ჩხატარაიშვილი, თ. ქართველიშვილი) დამაჯერებელია (ქართველიშვილი, 2008: 268-269). ამდენად, ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში ჩართული აღაპისა (მეტრეველი, 1962: 134-135) და მანდატურთუხუცესის თანამდებობის ფლობის შესაძლო დროის გათვალისწინებით, ბეშქენ ვარდანისძის მოღვაწეობის პერიოდად XIV ს-ის პირველი მესამედია მიჩნეული (არახამია, 2003: 54-56), რასაც, ვფიქრობთ, ჯუმათის მხატვრობის სტილიც ადასტურებს. მოხატულობა რომ XIV საუკუნის 70-80-იან წლებამდეა შესრულებული და ის უფრო ადრეულია, ვიდრე წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრისა (Лордкипанидзе, 1992: 3-27) თუ ვამეყ დადიანის ეკვდრის მოხატულობები ხობში (Лордкипанидзе, 1978: 131), ისიც მიანიშნებს, რომ ჯუმათის წმ. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერაში მოხსენიებული კახაბერ გურიელი, რომელიც არა ვარდანისძე, არამედ დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელია (ბაქრაძე, 1987: 220-221), XIV ს-ის 80-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე ფლობდა გურიის ერისთავის თანამდებობას (არახამია, 2003: 58-59). ეს კი იმას ნიშნავს, რომ XIV საუკუნის 70-80-იანი წლებისთვის ვარდანისძეებს უკვე დაკარგული ჰქონდათ გურიის ერისთავობა.

ჯუმათის ეკლესიის მოხატულობაში მთავარი დამკვეთი ვარდანისძე-გურიელის ოჯახისა თუ საგვარეულოს წარმომადგენელთა გამოსახულებები, ტრადიციისამებრ, ჩრდილოეთ კედელზე (Алибегашвили, 1979: 30), აღმოსავლეთ ნაწილში შეიძლება გვევარაუდა, რასაც ქტიტორის ფეხების იქვე შემორჩენილი ფრაგმენტიც ადასტურებს. ამავე დროს ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში, ყრუ თაღოვან ნიშში მოცემულია შემონაზვნებული წყვილის საქტიტორო გამოსახულება (სურ.5).

სურ. 5
ჯუმათი. მიქელ ყოფილი სუიმონ გურიელისა და მისი ყოფილი მეუღლე თეკლას სავარაუდო საქტიტორო კომპოზიცია

კომპოზიცია მაცხოვრის მაკურთხეველი ფიგურითა და წყვილი სასულიერო პირით, ძლიერი დაზიანების მიუხედავად, ფიგურათა მხატვრული გადაწყვეტის მიხედვით, ჩანს, რომ ძირითადი მხატვრობის თანადროული უნდა იყოს. ყრუ თაღში კომპოზიციის ზედა ნაწილში ჩაწერილია მაცხოვრის ნახევარფიგურა, რომელიც ორივე განპყრობილი ხელით აკურთხებს ქვედა არეზე განთავსებულ ორ ქტიტორს. ქრისტიანული მხატვრული ტრადიციის წიაღში დამკვიდრებული უზენაეს ხელისუფალთა წყვილის უფლისაგან კურთხევის ეს ცნობილი იკონოგრაფიული სქემა, რომელიც ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებში X

ს-იდან უწყვეტად დასტურდება, ქართულ კედლის მხატვრობაში XII-XIII საუკუნეებიდან გვხვდება სამეფო ოჯახის წევრთა გამოსახულებებისთვის, მოგვიანო პერიოდში კი მას ლოკალური მმართველებიც მიმართავენ (სხირტლაძე, 2000: 14-18). ქრისტეს ფრონტალური, წელს ოდნავ ჩამოცდენილი სხეულით ნაჩვენები ფიგურა მომწვანო ნაცრისფერ ფონზე ცის ნახევარწრიულ სეგმენტშია გამოსახული. მაცხოვრის თავთან მისი ბერძნული ინიციალები ჩანს. ქრისტეს ჰიმატიონის ნაწილი მარჯვენა მხარეს კვეთს ცის სეგმენტს, რასაც ერთგვარი ექსპრესია შემოაქვს კომპოზიციაში. მუქ მოყავისფრო-ყვითელ ჰიმატიონზე ასისტები ოქროსფერი და მუქი წითელი სწორი, თანაბარზომიერი ხაზებითაა გადმოცემული. ქრისტეს ფიგურის ხელის მტევნებისა და სახის სარჩული მწვანეა, ხოლო კონტურული ხაზი მოწითალო-ყავისფერი. დაზიანების გამო, სახის ძირითადი ფერი და მისი დამუშავების კვალი აღარ იკითხება, დარჩენილია მხოლოდ სარჩული და მოსამზადებელი ნახატი. ოქრას შარავანდზე ჯვრის მკლავები მოწითალო-ყავისფერი ნახატით სრულდება. მაცხოვრის მიმართ მავედრებელი ორი სასულიერო პირი კომპოზიციის ცენტრისკენ არიან ოდნავ შებრუნებული. დიდი ზომის ფიგურები თითქმის მთლიანად ავსებენ თაღით გამოყოფილ არეს, რომლის ქვედა ნაწილში მომწვანო-ზეთისხილისფერი ფონია სავარაუდებელი. დასავლეთით საბერო სამოსით მოსილი მამაკაცია, აღმოსავლეთით კი შემონაზვნებული ქალი. ვედრებად აღმართული, ერთმანეთის მიმართულებით გამოსახული გრძელთითებიანი, ფაქიზი ხელის მტევნებიდან ქალისა ღია ყვითელი, მამაკაცის კი მუქი ოქრას ფერითაა შესრულებული. მაცხოვრის გამოსახულების ქვეშ, ნეიტრალურ ფონზე მამაკაცის სახეც უფრო ჩამუქებულია. მასზე შავი ხაზით იწერება მოკლე, სქელი და მორკალული წარბები; ფუნჯის ერთი მონასმით მოხაზული, ოდნავ დახრილი და ბოლოსკენ აპრეხილი ნუშისებრი თვალის ჭრილი. ქუთუთოს აღმნიშვნელი რკალები აქაც ისევე, როგორც ჯუმათის სხვა სახეებზე, მოწითალო ყავისფერია. განიერი და მრგვალი წვერი მუქია. წვერს უერთდება მსხვილი შავი მონასმებით ნაწერი, დაბლა დახრილი ულვაშები.

სურ. 6
ჯუმათი. სავარაუდოდ მიქელ ყოფილი
სუიმონ გურიელი

მამაკაცი შემოსილია შავი საბერო მანტიითა და თავის ფორმას მიდევნებული, მხრებზე დაფენილი კუნკულით (სურ. 6). დიდი ზომის ხელებიდან მარჯვენა მკერდის წინ, ხოლო მარცხენა, როგორც ითქვა, ნეიტრალურ ფონზე იკითხება. მანტიის გაფართოებული სახელოდან მუქი წითელი სარჩული ჩანს.

საბერო ჩოხის ფესვედი სამოსის მხოლოდ ერთი ქვედა, ყავისფერი ბოლო გაირჩევა.

სურ. 7
ჯუმათი. მონაზონი თეკლა. სქემა
შესრულებულია გ. გაგოშიძის მიერ

შემონაზვნებული ქალის (სურ.7) ფერწერული ფენაც ძლიერაა დაზიანებული, თუმცა მამაკაცისგან განსხვავებით, მის თავთან, მარცხენა მხარეს ღია მწვანე ფონზე თეთრი ფერის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი იკითხება:

... ᲗᲔᲙᲚᲐ

... მისი თეკლა

ვფიქრობთ, რომ წარწერის ეს ნაწილი უნდა აღდგეს, როგორც თანამეცხედრე ყოფილი „მისი თეკლა“. მონაზონი ქალის სახეზე, რომლის ზედაპირი ხე-ლის მტევნების მსგავსად, ყვითლადაა დაფერილი, თვალ-წარბი მოშავო-ყავისფერი ხაზითაა აღნიშნული, ქუთუთოს ხაზი კი აქაც მოწითალო რკალია. ღია ყავისფერი თავსაბურავი მჭიდროდ შემოუყვება სახის ოვალს და მკერდამდე ეშვება. სამონაზვნო მანტია ნაცრისფრად იკითხება, ხოლო დრაპირება მასზე მუქი შავი ხაზით სრულდება. მანტიის შიდა სარჩული, რომელიც ფართო სახელოდან მოჩანს, მოყავისფრო ოქრაა. მანტია მკერდთან ოთკუთხა ფორმის მოყავისფრო- წითელი ფიბულით იკვრება.

საქტიტორო კომპოზიცია, როდესაც გვერდიგვერდ გამოისახებიან შემონაზვნებული ყოფილი თანამეცხედრეები, უდაოდ უჩვეულოა, თუმცა, როგორც ჩანს, გურიაშივე არსებულა სხვა მსგავსი მაგალითი, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე აღწერს ასკანის ქვის ეკლესიის მოხატულობაში: „საინტერესოა ორი პორტრეტი ბერმონაზვნის ტანსაცმლიანი მამაკაცისა და ქალისა: მამაკაცს ორივე მხარეს ორად გაყოფილი კაპიშონიანი ბარტყუნა ხურავს, მარჯვენა ხელში არქიმანდრიტის კვერთხი უპყრია; მარცხენა ხელზე, როგორც მას, ისე მონაზონ ქალს, ჰკიდიათ გიშრის პატარა ჯვრებიანი კრიალოსნები. მათი წარწერები გადარეცხილია“ (ბაქრაძე, 1987, 173). თუმცა არ ვიცით, ვინ არიან და არც ის ვიცით რა დროის მხატვრობაა, როგორც ჩანს, შემონაზვნებულ წყვილთა მსგავსი კომპოზიციების გამოსახვის გარკვეული ტრადიცია არსებობდა.

მთავარი კითხვა ისაა თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ჯუმათის ბერ-მონაზონი ქტიტორები. მონაზონი თეკლას სახელის ცოდნა მათ იდენტიფიცირებაში არ გვეხმარება. მეორე მხრივ, შეიძლება გაგვახსენდეს ზარზმის ეკლესიაში გამოსახული ასევე შემონაზვნებული ქტიტორი, რომლის თანმდევი წარწერა გვამცნობს, რომ ის არის „ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელი“ (თაყაიშვილი, 2018: 44; ბერიძე, 1955: 133). აქვე უნდა აღვნიშნო ერთი უცნაური დამთხვევაც. საქმე ისაა, რომ ზარზმაში სვეტზე სადაც სუიმონ გურიელია გამოსახული, უშუალოდ მის გვერდით წმ. თეკლას ფიგურაა მაშინ, როდესაც სხვა არცერთი წმ. დედა იქვე მახლობლად არ გამოისახება. „ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელი“ XIV საუკუნის

სამცხის ფლობელ ჯაყელთა თანამედროვეა მიჩნეული (არახამია, 2003: 57-58; ქართველიშვილი, 2006: 116) და მისი გვიანდელი, XVII ან XVIII საუკუნეების ამავე სახელის გურიელებთან გაიგივება ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილმა გამორიცხა (თაყაიშვილი, 2018: 44). გაუმართლებელია მისი XVII საუკუნეში მცხოვრები სიმონ გურიელად (1606-1672) მიჩნევა, რომელიც გაჩნდა უცხოელი მკვლევრის, მანუელა შტუდერ-კარლენის ზარზმის ეკლესიის მოხატულობის უდაოდ მნიშვნელოვან ნაშრომში (Studer-Karlen, 2021: 150). თუნდაც ზარზმის მონასტრის ისტორიიდან ცნობილია, რომ XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ოსმალების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ ზარზმის მონასტერმა შეწყვიტა ფუნქციონირება, ძვირფასი ჯვარ- ხატები კი გურიელებმა შემოქმედში გადაიტანეს და იმავე პერიოდში ააგეს შემოქმედის „ზარზმის“ ეკლესია (ზაქარაია, 1981: 59; ბერიძე, 1997: 173; ქართველიშვილი, 2006: 60-62). სუიმონ გურიელის მოღვაწეობის პერიოდთან მიმართებით მკვლევარი არახამია განიხილავს რა ს. კაკაბაძისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებებს, ემხრობა კაკაბაძის XIV ს-ის 40-50-იანი წლებით დათარიღებას, მაგრამ იზიარებს პ. ინგოროყვას შეხედულებას, რომ ზარზმის სუიმონ გურიელი ვარდანისძეთა საგვარეულოდან იყო და ის ბეშქენ ვარდანისძის შემდგომი პერიოდის გურიის ერისთავი უნდა ყოფილიყო (არახამია, 2003: 57). თუმცა, ვფიქრობთ, ერთი რამ განსაკუთრებით საგულისხმოა. ზარზმის თანმდევ წარწერაში სუიმონ გურიელი თავს გურიელობასან ერთად, მსახურთუხუცესად და სვანთ ერისთავადაც ასახელებს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბერად აღკვეცამდე ის ჯერ ერისთავთერისთავი, მსახურთუხუცესი და სვანეთის ერისთავი იყო და შემდეგ გახდა გურიელი. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ბეშქენი მხოლოდ გურიელია, შესაძლოა დავუშვათ, რომ სუიმონი უნდა ყოფილიყო სუანეთის ერისთავი ის პირველი ვარდანისძე, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ გურიის ერისთაობა უბოძა. ჩანს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ის ბერად აღიკვეცა და საერო ცხოვრებას ჩამოცილდა. ცხადია, ამის შემდეგ გურიელობა მის მემკვიდრეზე გადავიდოდა. არის თუ არა დანამდვილებით ჯუმათის მონასტრის ბერი ქტიტორი ზარზმაში გამოსახული „ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი, სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელი“, ხოლო მონაზონი თეკლა მისი ყოფილი თანამეცხედრე, გადაჭრით თქმა ძნელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ ჯუმათის ეკლესიის ბერ-მონაზონი წყვილის უფლისგან კურთხეული კომპოზიციური სქემა აშკარად ვარდანისძე-გურიელთა საგვარეულოს უმაღლეს საფეხურზე მდგომ საპატიო წევრებს წარმოგვიდგენს და შემონაზვნებულ პირთა ერთად გამოსახვის ინიციატორი მათი ის შვილი შეიძლება ყოფილიყო, რომელიც მოხატულობის მთავარი ქტიტორი და სახელოვანი წინაპრის, ვარდანისძე ვარდან “დიდის” მემორიალური პორტრეტით ვარდანისძეთა წარჩინებული გვარის წარმდგენი იყო გურიაში. ეს პირი კი სავსებით შესაძლებელია ბეშქენ გურიელი ყოფილიყო.

არის კიდევ ერთი საკითხი. სუიმონი, როგორც ჩანს, ბერად აღკვეცის შემდგომ მიღებული სახელია და ჩვენ არ ვიცით რა ერქვა მას ერისკაცობაში. 2016 წელს მკვლევარმა ნ. ჟღენტმა გურიაში, ერკეთის მთავარანგელოზთა

მონასტრის ეკლესიაში მიაგნო ძველი კანკელის ნაწილებს ფრაგმენტული წარწერით, რომელიც ამოიკითხა, როგორც „ ...ს(ულ)თ(ა) მ(ო)ნ(ა)თა მ(ი) ქ(ე) ლ ს(უა)ნთ ე(რისთავთ) ე(რისთავ)სა დ[ა]...//... [მ](ე)ფ(ი)სა და მ(ეო)

ხ(ა)დ ჩ(უე)ნ[თ]//ა და მ(ო)ს(ა)ხს(ე)ნებლად ს(უ)ლთა მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(უე) ნთასა, ა(მ)ენ“ (ჟღენტი, 2022: 221-222). პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, მკვლევარმა გამოკვეთა ერკეთის წარწერის XII-XIII სს-ის ქართულ მთავრულ ნიშნებთან მსგავსება (ჟღენტი, 2022: 224) და იმავდროულად, სუანთ ერისთავთ ერისთავი მიქელის მოღვაწეობა XII საუკუნის შუახანებში ივარაუდა (ჟღენტი, 2022: 228). ნ. ჟღენტის აზრით, 1073 წლის შემდეგ სვანეთის ერისთავ ვარდანისძეებს გურიაში სამამულო მიწათმფლობელობა უნდა ჰქონოდათ, ხოლო XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გურიაში ბატონიშვილ ვარდანისძეთა ცალკე შტო უნდა წარმოქმნილიყო (ჟღენტი, 2022: 229). მკვლევარი ეყრდნობა წყაროს, რომლის მიხედვით, 1073 წელს მეფე გიორგი II-ს აუჯანყდა ვარდან სვანთა ერისთავი, მეფემ კი მისი ამბოხი წყალობით დაფარა და უბოძა ასკალანა (მატიანე ქართლისა, 1955: 316), რომელიც ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრებით, გურიის ასკანადაა მიჩნეული (გასვიანი, 1973: 82; ქართველიშვილი, 2008: 267). ამ მოსაზრების დაშვების შემთხვევაშიც, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გურიაში ვარდანისძეთა ცალკე შტოს სავარაუდო წარმომადგენლები სვანეთის ერისთავთ ერისთავები არ ყოფილან (ქართველიშვილი, 2008: 267) და შესაბამისად, მიქელ სვანთა ერისთავთ ერისთავიც ვერ იქნებოდა ამ შტოს წარმომადგენელი ვარდანისძე. მეორე მხრივ, დაშვება, რომ XI-XIII საუკუნეებში ვარდანისძეებმა და მათ შორის, სვანეთის ერისთავთ ერისთავებმა ხატები გურიის ეკლესია-მონასტრებისთვის დაუკვეთეს და მათგან რამდენიმე უშუალოდ ჯუმათს შეწირეს (ქართველიშვილი, 2008: 267), ნაკლებად სარწმუნოა. ეს არც ხატების ეპიგრაფიკით დასტურდება. ამიტომაც გასათვალისწინებელია ექვთიმე თაყაიშვილისეული მოსაზრება, რომ ვარდანისძეებმა საგვარეულო სიწმინდე სვანეთიდან წამოიღეს გურიაში მას შემდეგ, რაც გურიის მმართველები გახდნენ (თაყაიშვილი, 2017: 32-34). სხვა საქმეა, ერკეთის ეკლესიის კანკელზე სვანთ ერისთავთ ერისთავი მიქელის საქტიტორო წარწერა, რომელიც მონასტრისა და შესაბამისად, მოცემული რეგიონის მიმართ მის უფლებებზე მიანიშნებს. ბუნებრივად ჩნდება დაშვება, რომ მიქელი შემონაზვნებული ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი და სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელის საერო სახელი შეიძლება ყოფილიყო, რასაც ირიბად ისიც ამყარებს, რომ მისი სავარაუდო მემკვიდრის, ბეშქენ გურიელის ვაჟიც მიქელია. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სვანთ ერისთავისა და მსახურთუხუცესი არიშიან ვარდანისძის შემდეგ, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მისი აღაპის მიხედვით, 1273-1305 წლებს შორის მოღვაწედაა მიჩნეული (მეტრეველი, 1962: 158; ბახტაძე, 2003: 218), XIII საუკუნის მიწურულსა და XIV ს-ის დასაწყისში მიქელ ყოფილი სუიმონი უნდა იყოს ვარდანისძეთა გვარის უკანასკნელი სვანეთის ერისთავთ ერისთავი. მას, სავარაუდოდ, არიშიანისგან მემკვიდრეობით გადაეცა მსახურთუხუცესობა, ხოლო მას შემდეგ, რაც სვანეთის ერსთავთ ერისთაობა დაკარგა, მეფისგან გურიელობა მიიღო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ერისთავობის ინსტიტუტისადმი მიძღვნილ მ. ბახტაძის მონოგრაფიულ გამოკვლევაში სვანეთის ერისთავთა ჩამონათვალში სუიმონ გურიელი არ მოხვდა იმის მიუხედავად, რომ ავტორს მოყავს ექვთიმე თაყაიშვილისეული ზარზმის წარწერა (ბახტაძე, 2003: 222, 224) და იმავდროულად, მიუთითებს კიდევ ორ გურიელზე, რომლებიც სუიმონის მსგავსად, თავს სვანთ ერისთავებადაც ასახელებენ (ბახტაძე, 2003: 222-223). დიმიტრი ბაქრაძემ ერთი მათგანის წარწერა შემოქმედის მაცხოვრის ეკლესიის ზანდუკში ვერცხლის ფირფიტის ნამტვრევზე ამოიკითხა: „ხ(ა)ტო ღმრთ(ა)ებისა მეოხ და მფ(ა)რველ ექმენ ერისთავთ ერისთავთ და ს(ვა)ნთ ე(რის)თ(ავთ)ა გურიელ(ს)ა კახ(ა)ბერს ..(თ)ანა მეცხედრეს მისსა ანას და ამისა ფენაგისა ზურგისა მო(მ)ჭედ მოჭირნეს შემ..“ (ბაქრაძე, 1987: 129), ხოლო მეორეს წარწერა ჯუმათის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ხატის ზურგზე: „ჰოი ძალთა მთავარო მიქაელ მეოხ ექმენით მამკობსა შენსა ერისთავთ ერისთავსა და სუანთ ერისთავსა გიორგი გურიელსა, ლომასა და მეუღლესა... დედოფალთ დედოფალსა..“ (ბაქრაძე, 1987: 220). მკვლევარ ბახტაძის აზრით, რადგან ვარდანისძეთა მიერ სვანეთის ერისთაობის დაკარგვის შემდეგ ამ ხელს დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები ეპატრონებიან და გურიელები მათ შორის არ ჩანან, სამივე გურიელს სვანეთის ერისთავობა „მითვისებული აქვს იმის საფუძველზე, რომ იყვნენ ვარდანისძეთა განაყოფი და მათი შთამომავლები“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარი ახსნა თავად მკვლევარსაც ძნელად დასაჯერებლად მიაჩნია (ბახტაძე, 2003: 219-223). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სუიმონ გურიელი, კახაბერისა და გიორგისგან განსხვავებით, სვანეთის ერისთავობასთან ერთად, მსახურთუხუცესიც იყო ისევე, როგორც უფრო ადრეული ხანის სვანთ ერისთავი ვარდანისძეები ივანე (XI ს-ის მიწურული-XII ს-ის დამდეგი)(ბაქრაძე, 1987: 220; მესხია, 1979: 124-126) და არიშიანი (XIII ს-ის მეორე ნახევარი - XIV ს-ის დასაწყისი) (მეტრეველი, 1962: 92; ბახტაძე, 2003: 218). გიორგი და კახაბერ გურიელებთან მიმართებით კი არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ისინი არ არიან ვარდანისძეები, არამედ არიან დადიანთა საგვარეულოს გვიანი წარმომადგენლები და თუ გიორგის ერისთაობის ხანად XV ს-ის პირველი ათწლეულია მიჩნეული, კახაბერ გურიელის მოღვაწეობის თარიღად XV ს-ის 70-იანი-80-იანი წლების მიჯნა სახელდება (არახამია, 2003: 59-63). აღნიშნული პერიოდი მიჩნეულია დროდ, როცა სვანეთის საერისთაო დადიანთა საგვარეულოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული (ბახტაძე, 2003: 222) და სვანეთის ერისთავებად დასახელებული გურიელებიც დადიანთა ამავე საგვარეულოს წარმოადგენდნენ.

დასკვნა

ამდენად, ჯუმათის მთავარანგელოზთა ეკლესიის XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოხატულობაში ჩართული ვარდანისძეთა გვარის „მამამთავრის“, ვარდანისძე ვარდან „დიდის“ მემორიალური პორტრეტის 2022 წელს იდენტიფიცირებამ საშუალება მოგვცა დაგვენახა აღნიშნული პერიოდის მოხატულობის დამკვეთი გურიის მმართველი ვარდანისძე-გურიელის პოზიცია. სვანეთის ერისთავთ ერისთავთა შთამომავალი,

სავარაუდოდ, ბეშქენ გურიელი, რომელიც შვილთან, მიქელთან ერთად მოიხსენიება სწორედ ვარდან ვარდანისძის XI საუკუნის ჯუმათის წმ. გიორგის ხატის მოგვიანო წარწერაში, საამაყო წინაპრის პორტრეტით „ახალ ადგილზე“, გურიაში წარადგენს თავის ძველსა და წარჩინებულ გვარს.

მოხატულობის ამავე ფენაზე შესრულებული უცნაური საქტიტორო კომპოზიცია, რომელიც მაცხოვრის მიერ კურთხეული ბერისა და მონაზვნის გამოსახულებებს გადმოსცემს, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ: ა) ბერის სამოსით წარმოდგენილი ხანშისესული მამაკაცი ერისთავთ ერისთავი, მსახურთუხუცესი და სუანთ ერისთავი სუიმონ გურიელია, მონაზონი თეკლა კი მისი ყოფილი მეუღლე; ბ) მათი ერთად გამოსახვის ინიციატორი მათივე შვილი, სავარაუდოდ ბეშქენ გურიელია გ) სუიმონია XIII ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის დასაწყისში მოღვაწე ვარდანისძეთა გვარის უკანასკნელი სვანთ ერისთავთ ერისთავი, რომელიც გურიელობას იღებს; დ) ერკეთის მთავარანგელოზთა მონასტერში 2016 წელს კანკელის ფილაზე ამოკითხული სვანთ ერისთავთ ერისთავი მიქელი შესაძლოა სუიმონის საერო სახელია, რასაც ირიბად მისი სავარაუდო შვილიშვილის სახელი მიქელიც ადასტურებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

amiranashvili, sh. (1968). *sakartvelodan sxvadasxva dros gatanili samuzeumo gandzeuloba da misi dabruneba.* tbilisi. (ამირანაშვილი, შ. (1968). *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება.* თბილისი).

araxamia, g. (2003). *odishis saeristavos istoriidan (XI s.-XVI s. I nax.)* tbilisi. (არახამია, გ. (2003). *ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს.-XVI ს. I ნახ.).* თბილისი).

batonishvili vaxushti. (1973). aghtsera samefosa saqartveloisa. kartlis tskhovreba. *teksti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. kaurchishvilis mier.* t. IV, tbilisi. (ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოისა. ქართლის ცხოვრება. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.* ტ. IV, თბილისი).

bakradze, d. (1987). *arkeologiuri mogzauroba guriasa da atcharashi.* batumi. (ბაქრაძე, დ. (1987). *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში.* ბათუმი).

bakhtadze, m. (2003) eristavobis instituti sakartveloshi. tbilisi. (ბახტაძე, მ. (2003). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი).

beradze, t. (2018). odishis saeristavo. odishis saeristavo ertian monarkiashi. *shromebis krebuli.* t. I. gv. 354-378. tbilisi. (ბერაძე, თ. (2018). ოდიშის საერისთავო. ოდიშის საერისთავო ერთიან მონარქიაში. *შრომების კრებული* . ტ. I. გვ. 354-378. თბილისი).

beridze, v. (1955). *samtskhis khurotmodzgvreba, XIII-XVI saukuneebi.* tbilisi. (ბერიძე, ვ. (1955). *სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI საუკუნეები.* თბილისი).

gasviani, g. (1973). dasavlet sakartvelos mtianetis istoriidan. tbilisi. (გასვიანი, გ.

(1973). დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი).

zakaraia, p. (1981). *kartuli centralur-gumbatovani arkitektura XI-XVIII ss.* 3. tbilisi. (ზაქარაია, პ. (1981). *ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს.* 3. თბილისი).

tavberidze, i. (2005). *jumatis monastris sidzveleebi*. tbilisi. (თავბერიძე, ი. (2005). *ჯუმათის მონასტრის სიძველეები*. თბილისი).

takaishvili, e. (2017). arkeologiuri ekspeditsia lechkhum-svanetshi 1910 tsels. *tkhzulebani*. t. 3. gv. 21-87. tbilisi. (თაყაიშვილი, ე. (2017). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. *თხზულებანი*. ტ. 3. გვ. 21-87. თბილისი).

takaishvili, e. (2018). Zarzmiiski manastir, ego restavratsia i freski. *tkhzulebani* t.

5. gv. 17-68. tbilisi. (თაყაიშვილი, ე. (2018). Зарзмский монастырь, его реставрация и фрески. *თხზულებანი*. ტ. 5. გვ. 17-68. თბილისი).

Ingorokva, p. (1963). Rustavelianis epilogi. tkhzulebani. I. gv. 527-857. tbilisi. (ინგოროყვა, პ. (1963) რუსთაველიანის ეპილოგი. *თხზულებანი*. I. გვ.527-857. თბილისი).

istoriani da azmani sharavandedtani. (1959). *kartlis tskhovreba*. teksti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. kaurchishvilis mier. t. II, Tbilisi. (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. (1959). *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბილისი.)

lomtatidze, g. (2001). Guriashi mgzavroba (ubis tsignakis chanatserebi, 1949 ts.). *guria: mkharis kvleva-dziebis shedegebi*. III. tbilisi. (ლომთათიძე, გ. (2001). გურიაში მგზავრობა (უბის წიგნაკის ჩანაწერები, 1949 წ.). *გურია: მხარის კვლევა-ძიების შედეგები* . III. თბილისი).

matiane kartlisa. (1955). *kartlis tskhovreba. teksti dadgenili kvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. kaurchishvilis mier*. t. I, Tbilisi. (მატიანე ქართლისა. (1955). *ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.* ტ. I, თბილისი.)

meskhia, sh. (1979). *sashinao politikuri vitareba da samokheleo tskoba XII saukunis sakartveloshi.* tbilisi. (მესხია, შ. (1979). *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*. თბილისი).

metreveli, e. (1962). *Masalebi ierusalimis kartuli koloniis istoriisatvis.* tbili- si. (მეტრეველი, ე. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის.* თბილისი).

zhghenti, n. (2022). erketis mtavarangelozta eklesiis dzveli kankelis utsnobi asomtavruli tsartsera da svanetis utsnobi eristavt-eristavi mikeli. *sakartvelos sidzveleni.* 25. gv. 221-239. tbilisi. (ჟღენტი, ნ. (2022). ერკეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის ძველი კანკელის უცნობი ასომთავრული წარწერა და სვანეთის უცნობი ერისთავთ-ერისთავი მიქელი. *საქართველოს სიძველენი*. 25. გვ. 221-239. თბილისი).

skhirtladze, z. (2000). *istoriul pirta portretebi garejis mravalmtis kolagiris monastershi*. garejis kvlevis tsentri, shromebi. tbilisi. (სხირტლაძე, ზ. (2000). *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*. გარეჯის კვლევის ცენტრი, შრომები. თბილისი).

kartvelishvili, t. (2006). *guriis saepiskoposoebi*. tbilisi. (ქართველიშვილი, თ. (2006). *გურიის საეპისკოპოსოები*. თბილისი).

kartvelishvili, t. (2008). svant eristavebis vardanisdzeebis guriashi damkvidrebis sakitxistvis. *svaneti - kartuli kulturis savane*. tbilisi. (ქართველიშვილი, თ. (2008). სვანთ ერისთავების ვარდანისძეების გურიაში დამკვიდრების საკითხისთვის. *სვანეთი - ქართული კულტურის სავანე*. თბილისი).

chikhladze, n. datunashvili, n. gvelesiani, m. (2017). d*zveli sakartvelos monumenturi mkhatvroba da misi moamageni*. tbilisi. (ჩიხლაძე, ნ. დათუნაშვილი ნ. გველესიანი მ. (2017). *ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი*. თბილისი).

chkhataraishvili, k. (1959). *guriis samtavro (politikuri da sotsial-ekonomikuri narkvevi)*. sakandidato disertacia. tbilisi. (ჩხატარაიშვილი, ქ. (1959). *გურიის სამთავრო (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ნარკვევი)*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.)

chkhataraishvili, k. (1990). Kartuli saeklesio organizatsiis istoriidan. *Sakartvelos feodaluri khanis istoriis sakitkhebi*. ts. VI. gv.139-159. tbilisi. (ჩხატარაიშვილი, ქ. (1990). ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან. *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*. წ. VI. გვ. 139-159. თბილისი).

khidureli, z. (1977) samefo domenis sakitkhisatvis XI-XV saukuneebis sakart- veloshi. *saistorio krebuli*. VII. gv. 268-287. Tbilisi. (ხიდურელი, ზ. სამეფო დომენის საკითხისათვის XI-XV საუკუნეების საქართველოში. *საისტორიო კრებული*. VII. გვ. 268-287. თბილისი).

Khuskivadze, l. (1984). *shua saukuneebis tikhruli minankari sakartvelos xelovnebis saxelmtsifo muzeumshi*. tbilisi.(ხუსკივაძე, ლ. (1984). *შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში*. თბილისი).

janjalia, m. (2007). zarzmis moxatulobis tarighistvis. *sakartvelos sidzveleni*. 10. gv. 63-96. tbilisi. (ჯანჯალია, მ. (2007). ზარზმის მოხატულობის თარიღისთვის. *საქართველოს სიძველენი* . 10. გვ. 63-96. თბილისი).

Chatzidakis, M. (1986). Christ before The Cross. *Byzantine and post-Byzantine Art*. Athens.

Konstantinidi, Ch. (2018). Byzantine Painting in the Church of the Panagia tou Arakos. *The Church of Panagia tou Arakos.* Nicosia.

Maculevic, L. (1926). Monument disparu de Dzumati, *Byzantion*. II. Paris.

Mouriki, D. (1975) *The Frescoes of the Church of St. Nicholas at Platsa in Mani.* Athens.

Schiller, G. (1972). *Iconography of Christian Art*. V. 2. Greenwich, Connecticut:

New York Graphic Society LTD.

Studer-Karlen, M. (2021). The Monastery of the Transfiguration in Zarzma. At the Intersection of Biblical Narration and Liturgical Relevance. *Convivium Supplementum*. 1. Brno.

Alibegashvili, G. (1979). *Svetskij portret v gruzinskoj srednevekovoj monumentalnoj zhivopisi.* Tbilisi. (Алибегашвили, Г. (1979) *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи.* Тбилиси).

Amiranashvili, Sh. (1963). *Istoria gruzinskogo iskustva*. Tbilisi. (Амиранашвили, Ш. (1963). *История грузинского искусства*. Тбилиси).

Jurich, V. (2000). Vizantiiskie freski. *Srednevekovaiya Serbiya, Dalmatsiya, Slavyanskaya Makedoniya.* Moskva. (Джурич, В. (2000). *Византийские фрески. Средневековая Сербия, Далмация, Славянская Македония*. Москва).

Iosebidze, D. (1989). *Rospis Achi*. Tbilisi. (Иосебидзе, Дж. (1989). *Роспись Ачи.* Тбилиси).

Lordkipanidze, I. (1978). Rospis pridela Vameka Dadiani v Khobi. *Srednevekovoe iskustvo.* Rus. Gruziya. Moskva. (Лордкипанидзе, И. (1978). Роспись придела Вамека Дадиани в Хоби. *Средневековое искусство*. Русь. Грузия. Москва).

Lordkipanidze, I. (1992). *Rospis v Tsalendjikha*. Tbilisi. (Лордкипанидзе, И. (1992). *Роспись в Цаленджиха.* Тбилиси).

Kondakov, N. Bakradze, D. (1890). *Opis pamyatnikov drevnosti v nekotorikh khramakh I monastiryakh Gruzii.* Sankt-Peterburg. (Кондаков, Н. Бакрадзе, Д. (1890). *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии.* Санкт-Петербург).

Chubinashvili, G. (1959). *Gruzinskoe chekannoe iskustvo*. Tbilisi. (Чубинашвили, Г. (1959). *Грузинское чеканное искусство*. Тбилиси).

Khuskivadze, L. (1981). *Gruzinskie emali*. Tbilisi. (Хускивадзе, Л. (1981). *Грузинские эмали*. Тбилиси).

Etingof, O. (2000). Obraz Bogomateri. *Ocherki Vizantiiskoj ikonografii XI-XII vekov.* Moskva. (Этингоф, О. (2000). Образ Богоматери. *Очерки Византийской иконографии XI-XII веков*. Москва).